დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას შპს უმაღლესი სასწავლელი „ჯორჯიას“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა ლეჟავა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, საქართველო

წევრები:

ია მოსაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

ლარისა პატარაია, კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Start - Business Solutions, საქართველო

ბაქარ დუაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	204876991
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჯურხა ნადირაძის ქუჩა 46, თბილისი 0102, საქართველო
ვებ-გვერდი	http://usgeorgia.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	გადაწყვეტილება #89, 21/11/2018
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	21/11/2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	1
ბაკალავრიატი	1
მაგისტრატურა	0
ერთსაფეხურიანი	0
დოქტორანტურა	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	0
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			300
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	119	97	
ბაკალავრიატი	119	97	
მაგისტრატურა	0	0	
ერთსაფეხურიანი	0	0	
დოქტორანტურა	0	0	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	1	22	

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	45
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	19
- პროფესორი	1
- ასოცირებული პროფესორი	17
- ასისტენტ პროფესორი	0
- ასისტენტი	1
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	9
- აფილირებული პროფესორი	1
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	8
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	0
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	6
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	21

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2019 წლის 13-14 ნოემბერს შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა შეემოწმებინა, შეასრულა თუ არა უნივერსიტეტმა 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც 2018 წლის 21 ნოემბრის უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნულ სასწავლებელს მიანიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით (გადაწყვეტილების #89) და დაუწესა ერთწლიანი შეზღუდვა სტუდენტთა მიღებაზე.

ვინაიდან 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები გაიცა ყველა სტანდარტსა და ქვესტანდარტზე, 2019 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ს შესაბამისობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში. თუმცა, ვინაიდან ავტორიზაციის საბჭოს დასკვნა (დაწესებული შეზღუდვა) ეფუძნებოდა მეოთხე სტანდარტის კომპონენტებს 4.1 და 4.2, 2019 წლის მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ამ ორი კომპონნტის შეფასებაზე.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებაში გაიმართა შეხვედრები შემდეგი პირებთან: უსდ-ს დამფუძნებლები, რექტორი, სენატის წარმომადგენლები, ფინანსური დირექტორი, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, HR დეპარტამენტის, საქმისწარმოებისა, სამართლებრივი უზრუნველყოფის, საერთაშორისო ურთიერთობისა და PR სამსახურის, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამული განვითარებისა და კვლევების ოფისის წარმომადგენლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ვიზიტის ბოლოს, მონიტორინგის ჯგუფმა უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 4-5 ოქტომბერი, 2018 წ.

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტის კომპონენტი 1.1 – გადაიხედოს მისიის განაცხადი იმგვარად, რომ იგი უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული და გამოხატავდეს უს ჯორჯიას გამორჩეულ მისწრაფებებს, თუ	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.

როგორ გეგმავს წარმატების მიღწევას და სტუდენტისა და პერსონალის რა დამახასიათებელი გამოცდილება აქვს სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	
სტანდარტის კომპონენტი 1.2 – გადაიხედოს სტრატეგიული განვითარების გეგმა. ამით, სასწავლებელმა უნდა განიხილოს გეგმის ისეთი რევიზია, რომელიც ჩამოაყალიბებს დაწესებულების მისიის მიღწევის მკაფიო გეგმას მზარდი მოთხოვნების მქონე ბაზარზე. – ინსტიტუციამ უნდა იქონიოს მკვეთრი ფოკუსი მის მიზნებსა და ამოცანებზე და შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების კომპლექტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ: ყველა ძირითადი აქტივობა შეესაბამებოდეს უს ჯორჯიას მისიას, სტრატეგიას და ხედვას; და რომ სტრატეგია შესაძლოა მოდიფიცირდეს დაწესებულების შიგნით და გარეთ მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესაბამისად. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 2.1 – იმსჯელეთ დაწესებულების სტრუქტურის იმგვარად შეცვლის თაობაზე, რომ მენეჯმენტის უფლებები და ვალდებულებები უფრო ფართოდ გადანაწილდეს უფროს პერსონალზე. – პრიორიტეტი, მათ შორის ფინანსური რესურსები, უნდა იქნეს მიმართული ინტერნაციონალიზაციაზე, მათ შორის უცხოენოვანი პროგრამების ან პროგრამის კომპონენტების შემუშავებაზე, პერსონალის ტრენინგზე ინგლისურ ენაში, მეტი გაცვლითი შესაძლებლობების შექმნაზე და სხვ. – სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის გარკვეული სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 2.2 – ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უნდა მოაწყოს დისკუსია დაწესებულების მასშტაბით უს ჯორჯიას მიერ "ხარისხის	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.

კულტურის" განვითარების ვალდებულების მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ (მათ შორის პერსონალის როლსა და ვალდებულებებზე). – პერსონალთან და სტუდენტებთან კონსულტირებით უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის კითხვარები შეივსოს ანონიმურად, რომ კითხვები დასმული იყოს სათანადოდ და იყოს რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანი. – უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის ეფექტიანი და თანამიმდევრული გამოყენება. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	
სტანდარტის კომპონენტი 2.3 – ყველა სტუდენტი, ჩარიცხვისთანავე უნდა იღებდეს მკაფიო მითითებებს პლაგიარიზმის თაობაზე. უს ჯორჯიამ, ასევე, უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმებისა სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიარიზმთან დაკავშირებით და მის შედეგებზე. – უს ჯორჯიას პლაგიარიზმის პროცედურები უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგედნენ პლაგიარიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	შესრულებულია
სტანდარტის კომპონენტი 3.1 – თავისი მისიის შესასრულებლად და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის შესაძლებლობით უზრუნველსაყოფად, სასწავლებელმა უნდა მისცეს პრიორიტეტი ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რითაც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	არ არის შესრულებული
სტანდარტის კომპონენტი 3.2	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია გარკვეული ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.

– უნდა არსებობდეს ფორმალიზებული მიდგომა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	
სტანდარტის კომპონენტი 3.3 – თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	არ არის შესრულებული
სტანდარტის კომპონენტი 4.1 – შრომითი ხელშეკრულებები უნდა იქნას განახლებული, რათა აისახოს არსებული ფინანსური ურთიერთობები დაწესებულებასა და მის პერსონალს შორის. – შეიმუშავეთ პერსონალის შეკავების საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკა და ზომები პერსონალის მაღალი ბრუნვის რისკის შესამცირებლად. – შეიმუშავეთ მკაფიო მექანიზმები მისი პერსონალის წასახალისებლად/დასაჯილდოებლად (მაშინ, როცა პერსონალის მართვის პოლიტიკა შეიცავს შესაბამის პუნქტს, იგი ვერ ახდენს იმ ინდიკატორების იდენტიფიცირებას, რომლებითაც უნდა შეფასდეს პერსონალის საქმიანობა). [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 4.2 – განახორციელეთ შრომითი კონტრაქტებისადმი უფრო ინდივიდუალური მიდგომა, უფრო მკაფიო პირობებით და მექანიზმებით, როგორც ინსტიტუციის, ისე დასაქმებულისათვის და მიუთითოს შესრულების მონიტორინგის ვადები. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია კონკრეტული ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 5.1 – უნდა ითარგმნოს ინგლისურად და ვებგვერდზე განთავსდეს დაწესებულების რეგულაციები და ძირითადი დოკუმენტები.	შესრულებულია

[შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	
სტანდარტის კომპონენტი 5.2 – უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსდამთავრებულთა უფრო აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და გაძლიერდეს მათი წვლილი ხარისხის გაუმჯობესებაში. – გაუმჯობესდეს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სრული და ზუსტი წარმოდგენა მის ვალდებულებებსა და ადგილზე დაწესებულების სტრუქტურაში. ამგვარმა ქმედებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტთა პრობლემები გადაცემული იყოს დაწესებულების შესაბამის პირებისა თუ დეპარტამენტებისათვის. – საორიენტაციო შეხვედრები, ან გაცნობითი ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს ხშირად იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიეწოდოს არა მხოლოდ ახალ, არამედ მობილობით გადმოსულ სტუდენტებსაც. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	შესრულებულია
სტანდარტის კომპონენტი 6.1 – შემუშავდეს სტრატეგია მკაფიო და შეფასებადი სამიზნე ნიშნულებით, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	არ არის შესრულებული
სტანდარტის კომპონენტი 6.2 – უზრუნველყოფილ იქნეს ადეკვატური ფინანსირება დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	არ არის შესრულებული
სტანდარტის კომპონენტი 6.3 – განიხილეთ უთმობს თუ არა სტრატეგიული განვითარების გეგმა და ოთხ-წლიანი სამოქმედო გეგმა სათანადო ყურადღებას სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობას, და უზრუნველყოფილ იქნას, რომ ორივე დოკუმენტი ამ სფეროში	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.

იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს დაწესებულებისა და ცალკეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად. – სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულების ახალი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	
სტანდარტის კომპონენტი 7.1 – სანიტარული კვანძები უნდა იქნეს ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პერსონალისა და სტუდენტებისათვის და მეორე სართულის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნდა დამონტაჟდეს ლიფტი. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია კონკრეტული ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 7.2 [შეფასება: სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	N/A
სტანდარტის კომპონენტი 7.3 – ვებგვერდი უნდა განახლდეს და უნდა უზრუნველყოფდეს ძირითად დოკუმენტებზე წვდომას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. [შეფასება: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა დარჩენილია კონკრეტული ხარვეზები. დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი ქვესტანდარტის აღწერა.
სტანდარტის კომპონენტი 7.4 – სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სასწავლებელმა უნდა მოახდინოს დაფინანსების ახალი/დამატებითი წყაროების იდენტიფიცირება. [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	არ არის შესრულებული

რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია მისიაში არსებული ძირითადი განაცხადები რეალურად ითარგმნოს პროგრამის დონეზე და ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდეს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ საკუთარი მისიის რეალურად განხორციელებას;
2. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის რესურსებიდან და ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ფოკუსი გაკეთდეს ლოკალური ბაზრის გამოწვევების დაკმაყოფილებაზე; სხვა შემთხვევაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი სასწავლო დაწესებულების განუხორციელებელ მისიაზე მიგვითითებს, რაც აღმოჩნდება ტყუილი დაპირება როგორც მომხარებლისთვის და მთლიანად შეზღუდავს ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულების განხორციელებას;
3. რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმაში საჭირო რესურსები დეტალურად იყოს გაწერილი, როგროც ადამინური, ასევე ფინანსური და მატერიალური;
4. რეკომენდირებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი;
5. რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტარტეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას;
6. გადაიხედოს უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულების ხელმძღვანელთა პოზიციებზე დანიშვნის პროცედურები, გათვალისწინებულ იქნას კანდიდატების/პირების ექსპერტიზა და გამოცდილება; გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნას დებულებებით გათვალისწინებული სამუშაოს მათზე რეალურად გადანაწილება;
7. რეალურად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან რექტორისა და ვიცე-რექტორის ფუნქციები, რასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის დებულება;
8. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით დაიხვეწოს შიდა მექანიზმები, კერძოდ, გამოყენებულ იქნას თვისებრივი მეთოდებიც, როგორც ამას ითვალისწინებს სამსახურის დებულება;
9. მოხდეს რაოდენობრივ მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უკეთ განსაზღვროს საჭიროებები;
10. უზრუნველყოფილ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური პროგრამის ხარისხის რეალური შეფასება;
11. აკადემიური პერსონალისთვის შემუშავდეს ციტირების ერთიანი წესი, ან დადგინდეს ციტირების რომელ საერთაშორისო ნორმას იყენებს უნივერსიტეტი;
12. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცოდნის ამაღლება არსებულ ციტირების სტანდარტებთან მიმართებაში;
13. წინასწარ ჩატარებული კვლევები შრომის ბაზრის მოთხოვნების გამოსავლენად პროგრამის განვითარების მიზნით;
14. კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარება კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლის მიღების მიზნით;
15. პროგრამის განახლება ხდებოდეს კვალიფიციური კადრების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსებით;
16. განხორციელდეს პროგრამის მონიტორინგი დარგობრივ ჭრილში;
17. თავისი მისიის შესასრულებლად და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის შესაძლებლობით უზრუნველსაყოფად, სასწავლებელმა უნდა მისცეს პრიორიტეტი ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორცილებას, რითაც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში;
18. სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულება ხდებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილ ვადებში.
19. სწავლება მიმდინარეობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტთა უშუალო ჩართულობის გზით;

20. რეკომენდირებულია გადაიხედოს და გაანხლდეს პროგრამა. პროგრამის მიზნები და შედეგები პრაქტიკურლი უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულების გამოშვებას ემსახურებოდეს;
21. რეკომენდირებულია პროგრამაში რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული კურსი შემოვიდეს, რომელსაც უხელმძღვანელებენ პრატიკოსი სპეციალისტები;
22. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა ფოკუსირება გააკეთოს რომელიმე ერთ მიმართულებაზე (ფინანსები, მარკეტინგი, აუდიტი, მენეჯმენტი და ა.შ.) და პროგრამა გაამლიეროს ამ მიმართულებით;
23. რეკომენდირებულია დუბლირებული კურსების ჩანაცვლება;
24. თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას.
25. სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;
26. გადაიხედოს უნიფიცირებული შეფასების ფორმები და კომპონენტები და შემუშავდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კურსზე მორგებული სისტემა, სადაც ნათლად იქნება ასახული კურსის მიზნებიდან გამომდიანრე მოსალოდნელი შედეგების რელევანტური შეფასების მიდგომა;
27. პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი;
28. უზრუნველყოფილ იქნას რომ სასწავლო კურსები წაიკითხოს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალმა;
29. დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდეს პერსონალის წახალისების, კვლევის დაფინანსებისა და სხვა ბონუსური სისტემის რეალური გეგმის შედგენა;
30. შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების ქმედითი მექანიზმები;
31. მოხდეს პერსონალის დაგეგმვის ადექვატური მექანიზმის შემუშავება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მომავალში, სტუდენტური კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, დამატებითი პროფესიონალი კადრების მოზიდვა;
32. მკაფიო და შეფასებადი სამიზნე ნიშნულებით შემუშავდეს სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა;
33. პროგრამული განვითარებისა და კვლევის ოფისის საქმიანობა განხორციელდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სივრცეში და ორიენტირებული იყოს კვლევითი აქტივობების განხორცილებაზე;
34. უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის კვლევითი აქტივობებისათვის და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისთვის გამოყოფილი იქნას ადეკვატური ფინანსური დახმარება;
35. სტრატეგიული განვითარების და ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს ამ სფეროში დაწესებულებისა თუ ცალკეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად;
36. უზრუნველყოფილ იქნეს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად დაწესებულების ახალი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება;
37. რეკომენდირებულია საკლასო აუდიტორიებში გაგრილების სისტემის მონტაჟი;
38. რეკომენდირებულია ეტლით მოსარგებლეებს ჰქონდეთ მეორე სართულზე ასვლის საშუალება, ეს შეიძლება გადაწყდეს, როგორც ლიფტის მონტაჟით, ასევე სპეციალური მექანიკური დანადგარის მონტაჟის საშუალებით;
39. რეკომენდირებულია განახლდეს ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, განსაკუთრებით თუ სტუდენტების მიღების შესაძლებლობა ექნება უნივერსიტეტს (პროექტორები, კომპიუტერები);
40. განახლდეს უნივერსიტეტის Microsoft-ის პროგრამები და შეძენილ იქნას მათი ლიცენზირებული ვერსიები;
41. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ გაიაზროს და ქმედითი ღონისძიებები ჩაატაროს ფინანსური მდგრადობის მისაღწევად;
42. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ მოახდინოს შემოსავლების დივერსიფიცირება არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით;
43. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ დანერგოს ფინანსური მართვის, შეფასების და კონტროლის ეფექტური, თანამედროვე მექანიზმები და ფინანსური პოლიტიკა ორგანულად იყოს ინტეგრირებული უნივერსიტეტის სხვა ფუნქციონალურ ერთეულებთან;

44. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გამოიყენოს ფინანსური მოდელირების ის ინსტრუმენტები, რომელიც მაქსიმალურად მიაახლოვებს საპროგნოზო მაჩვენებელს და რეალურ შედეგებს და ამით თავიდან აიცილოს ფინანსური კრიზისის დადგომა.

რჩევები

1. გამოსწორდეს ვებ-გვერდის „მობილობის“ პუნქტთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი;
2. ჩაუტარდეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს კონსულტაცია/ტრენინგი, რათა უკეთ გაიგონ თავიანთი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ამით ისინი მეტად ჩაერთვებიან უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ;
3. საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენის წესები იქნას დაცული.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა ლეჟავა (თავმჯდომარე)
2. ია მოსაშვილი (წევრი)
3. ლარისა პატარაია (წევრი)
4. ბაქარ დუაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უს ჯორჯიამ, 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია N1, რომელიც ეხებოდა მისიის ცვლილებას, გაითვალისწინა. შექმნა მისიაზე მომუშავე დროებითი გუნდი და ახლებური სახით გაიაზრა და დაადეკლარირა უნივერსიტეტის მისია. მისიის ამჟამინდელი ვერსია პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ თანამედროვე გამოწვევებს, ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე; ბიზნეს მენეჯერებისა და მეწარმეების ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც მაღალი ხარისხით აქვთ გააზრებული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი. უს ჯორჯიას დანიშნულება, რომლიც განახლებულ მისიაში კარგად არის ფორმულირებული, ისევ შეიცავს რეალობისგან მოწყვეტილ ნაწილს. ეს ეხება ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს. ვინაიდან მისია, უნდა ითვალისწინებდეს არამხოლოდ პოტენციალს, არამედ უნდა ამოდიოდეს ორგანიზაციის ამჟამინდელი კომპეტენციებისგან, ვთვლით, რომ ინტერნაციონალიზაციის ამდაგვარი გააზრება, არ შეესაბამება არსებულ რეალობას და კარგი იქნება თუ მისიის საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუანრიანი სამუშაო ძალის ფორმირებაზე ფოკუსი შეიცვლება და პირველ რიგში ლოკალური შრომის ბაზრისთვის პროფესიონალების მომზადებაზე გაკეთდება აქცენტი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მისიაში გაკეთებული განაცხადი აისახებოდეს ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაში. როცა მისიაში გაცხადებულია, რომ თანამედროვე ბიზნესის შემქნელებზე კეთდება აქცენტი და პროგრამაში მეწარმეობის, ინოვაციების მიმართულებით არ არის ყურადღება გამახვილებული, ეს გვაფიქრებინებს, რომ მისიის გააზრება არ ხდება ბოლომდე და ნაწილობრივ ფორმალური სახე აქვს. საყურადღებოა, რომ უს ჯორჯიას მისიაში ხაზგასმულია ის საკითხი, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწორი ღირებულებების მქონე ინდივიდების ფორმირებაზე. ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ მისიის რეფორმირების პროცესში ჩართული იყო სხვადსხვა დაინტერესებული მხარე და უნივერისტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს კარგად აქვს გააზრებული ახლად შემუშავებული მისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: უს ჯორჯიას მისია ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია მისიაში არსებული ძირითადი განაცხადები რეალურად ითარგმნოს პროგრამის დონეზე და ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდეს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ საკუთარი მისიის რეალურად განხორციელებას;

რეკომენდირებულია უნივერსიტეტის რესურსებიდან და ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ფოკუსი გაკეთდეს ლოკალური ბაზრის გამოწვევების დაკმაყოფილებაზე; სხვა შემთხვევაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი სასწავლო დაწესებულების განუხორციელებელ მისიაზე მიგვითითებს, რაც აღმოჩნდება ტყუილი დაპირება როგორც მომხარებლისთვის და მთლიანად შეზღუდავს ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულების განხორციელებას.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უს ჯორჯიას წარმოდგენილი აქვს 2018 წლის 7 მარტს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტარტეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცვლილებები შეტანელია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის სენატის მიერ 2019 წლის 15 აპრილს. დოკუმენტი შედგება 8 თავისგან. სტრატგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2018-2024 წლების პერიოდს, სამოქმედო გეგმა - 2018-2020 წლებს და ბიუჯეტი 2019-2021 წლების პერიოდს. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის ნახსენები პროცესში რამდენად განხორციელდა გარემოს სკანირება, რომელიც არის აუცილებელი პირობა, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს გარემოში არსებული შესაძლებლობების და საფრთხეების სწორი იდენტიფიცირება. სტრატეგიულ განვითარების გეგმაში მოცემული მისია, სტარტეგიული ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან. თუმცა აღსანიშანვია, რომ ექვსი სტრატეგიული მიზანი და 16 ამოცანა, რომელიც მოცემულია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში არის ძალიან ბუნდოვანი და ნარატიული. არ არის გაზომვადი, დოკუმენტში არ ჩანს რაოდენობრივი KPI-ს, შესაბამისად, რთულია შეფასდეს სტარტეგიული გეგმის დოკუმენტის ეფექტიანობა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები, პასუხსიმგებელი პირები, ვადები და შესრულების ინდიკატორები მოცემულია, თუმცა არასად არის ფინანსური რესურსი დაზუსტებული. ეს გავძლევს იმის საფუძველს, რომ ეჭვი შეგვეპაროს ამ ამოცანების განხორციელებაში, ვინაიდან არცერთი პუნქტი ფაქტობრივად არ ითავლისწინებს საჭირო რესურსებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს იმ შემთხვევებში, როდესაც ვადარებთ 2018-2019 ბიუჯეტებს და რეალურ შემოსავლებს. პროგნოზირებული შემოსავლები, რომელიც წესით უნდა იყოს საკმარისი ფინანსური რესურსი სტრატეგიულ გეგმაში არსებული მიზნების განხორციელებისთვის, არარეალისტურია და 2019 წელს 3,5-ჯერ, ხოლო მომდევნო წლებში 7-ჯერ აჭარბებს რეალურ დინამიკას. უს ჯორჯია ცდილობს გაატაროს რიგი ღონისძიებები და მოახდინოს ცოდნის გაზიარება არამხოლოდ უნივერსიტეტის შიგნით, არამედ უნივერისტეტის გარეთაც. სხავდასხვა სოციალური აქტივობებით, შემეცნებით გამოცემებით ამარაგებს და რთავს აბიტურინებტს პროცესებში. უს ჯორჯიას სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული აქვს მონიტორინგის, შეფასების და კონტროლის მექანიზმები, თუმცა ორგანიზაციულ სტრუქტურაში არ არის ასახული აღნიშნული და ბუნდოვანია, ვისი

უფლებამოსილებაა და ვინ ახორციელებს ამ საქმიანობას დაწესებულებაში. ვინაიდან ინტერვიუების დროს ბუნდოვანი დარჩა, კონკრეტულად რომელი სამსახური რა დოზით არის ჩართული აღნიშნულ პროცესებში. ნიშანდობლივია, რომ ავტორიზაციის წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია N2 და რეკომენდაცია N3 ნაწილობრივ შერულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები; 2018 წლის და 2019 წლის ბიუჯეტები; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმაში საჭირო რესურსები დეტალურად იყოს გაწერილი, როგროც ადამინური, ასევე ფინანსური და მატერიალური; რეკომენდირებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი; რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტარტეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 2018 წლის ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების თანახმად, უსდ-მ განაახლა ორგანიზაციული სტრუქტურა; მოხდა ფუნქციების განაწილება რექტორს, სენატსა და ფინანსურ დირექტორს შორის. ორგანიზაციული სტრუქტურის თანახმად, სამივე აღნიშნული ერთეული ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება. სენატის უფლება-მოვალეობებში შედის სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის, ბიუჯეტის და მასში შესული ცვლილებების, აკადემიურ პროგრამაში ცვლილებების, ეთიკის კოდექსის და სხვა აკადემიური მიმართულებების დოკუმენტაციის დამტკიცება. რექტორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უსდ-ს ზოგადი მართვა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება. ხოლო ფინანსური დირექტორი ვალდებულია ბიუჯეტის დაგეგმვასა და დაწესებულების ფინანსურ მართვაზე. რექტორს ექვემდებარება ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროგრამული განვითარებისა და კვლევების ოფისი და სხვა. უნივერსიტეტს ასევე ჰყავს ვიცე-რექტორი სასწავლო დარგში, რომლის დაქვემდებარებაში შედის საერთაშორისო ურთიერთობებისა და PR-ის დეპარტამენტი, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი და რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისური ენის ტრენინგს; კერძოდ, ინგლისური ენის კურსები ხელმსაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. გარდა ამისა, მომავალი წლის ბიუჯეტის გეგმა ითვალისწინებს დაფინანსების გაზრდას ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებისთვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების, და შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის წასახალისებლად გაზრდილი დაფინანსების საკითხი (იხ. ქვესტასტანდარტი 7.4).

ასევე, 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაზრდას. ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მეტ-ნაკლებად შესრულებულია - შემუშავებულია სტუდენტური თვითმმართველობის დებულება, რომლის პუნქტი 1.4 ითვალისწინებს ორგანოს დამოუკიდებლობას. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ამჟამინდელი წევრების არჩევა მოხდა 2019-2020 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით ახალი ჯგუფის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები არ ჩატარებულა, შესაბამისად, რთულია მათი გამართულად ფუნქციონირების შემოწმება. ასევე, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მათ არ ჰქონდათ კარგად გააზრებული საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები.

მიუხედავად, სტრუქტურული განაწილებისა აღნიშნულ ერთეულებს შორის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების რეალური განაწილებისა და თანამდებობებზე პირთა დანიშვნის საკითხი ბუნდოვანია. მაგალითად, ვიცე-რექტორი, რომელიც ამავე დროს არის შპს-ს დამფუძნებელი ექვემდებარება რექტორს, რომელიც თავის მხრივ ოფიციალურად ანგარიშვალდებულია დამფუძნებელთა წინაშე. აღნიშნული განაწილება კანონთან შესაბამისობაშია, თუმცა ეჭვს ბადებს რექტორსა და ვიცე-რექტორს შორის იერარქიული ფუნქციონირების საკითხი და რექტორის გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა ვიცე-რექტორისგან. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ რექტორი მუშაობს სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ფინანსური დირექტორისგან დამოუკიდებლად; მოგვიანებით კი ფინანსური დირექტორი იმუშავებს ბიუჯეტს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით - ანუ, სტრატეგიული განვითარების გეგმა და ბიუჯეტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშავდება, რამაც შესაძლოა შეაფერხოს უნივერსიტეტის გამართულად ფუნქციონირება და სტრატეგიული მიზნების სწორად განსაზღვრა არსებულ რესურსებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია თავად სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი, რომლებიც ძირითადად ერთი ადამიანისგან შედგება, რაც ინსტიტუციის ზომის გათვალისწინებით საკმარისია. თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ პერსონალის ექსპერტიზა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მაგ, ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების დეპარტამენტი ძირითადად კანცელარიის ფუნქციას ითავსებს, თუმცა დებულების თანახმად მათ ევალებათ პერსონალის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებიც. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პერსონალის დაგეგმვასა და განვითარების პროცესში აღნიშნული ერთეული მონაწილეობას პრაქტიკულად არ იღებს. ასევე, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანატის მოვალეობებში ძირითადად შედის სასწავლო პროცესის ადმინისტრირება, როგორიცაა ცხრილების შედგენა, გამოცდების ორგანიზება და ა.შ., ხოლო აკადემიური პროგრამის

შინაარსობრივ განვითარებაზე ზრუნვა მის კომპეტენციაში არ შედის. ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სხვადასხვა სამსახურების ფუნქციები ხელოვნურად განაწილდა ავტორიზაციის ექსპერტთა 2018 წლის ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, პერსონალის დანიშვნაც ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა თანამდებობზე მოხდა მათი ექსპერტიზის გაუთვალისწინებლად.

ანალოგიური სიტუაციაა ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის შემთხვევაში, რომელიც ასევე ითავსებს სტრატეგიული განვითარების ფუნქციას (ერთეულის სრული დასახელებაა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური), თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტრატეგიულ განვითარებაზე რექტორია პასუხისმგებელი და აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელს ამ პროცესში მონაწილეობა მხოლოდ კონსულტირების თვალსაზრისით აქვს მიღებული; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი 2019 წლის შემოდგომაზე დაინიშნა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო სტრატეგიული გეგმა შემუშავდა 2019 წლის აპრილში, შესაბამისად, გაუგებარია რა სახით იღებდა იგი მონაწილეობას სტრატეგიის განვითარებაში. გარდა ამისა, აღნიშნული ერთეულს ჰყავს მხოლოდ ერთი თანამშრომელი - სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც, როგორც აღინიშნა, დაინიშნა ა.წ შემოდგომაზე (თუმცა, დებულებით გათვალისწინებულია კიდევ ერთი თანამშრომლის არსებობა). ეს ადამიანი ამავე დროს იკავებს სხვა უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობას, რაც კანონმდებლობით შეზღუდული არ არის, თუმცა ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია, რომლიც უსდ-ს ფუნციონირების ხარისხის აკონტროლებს, მიგვაჩნია, რომ საჭიროა, ამ სამსახურს ჰყავდეს პერმანენტული ხელმძღვანელი/თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის მდგრად ფუნქციონირებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობისთვის გამოცხადებულია კონკურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები; უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა; უსდ-ს დებულება; სენატის დებულება; ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება; ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობის და სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები; ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

გადაიხედოს უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულების ხელმძღვანელთა პოზიციებზე დანიშვნის პროცედურები, გათვალისწინებულ იქნას კანდიდატების/პირების ექსპერტიზა და გამოცდილება; გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნას დებულებებით გათვალისწინებული სამუშაოს მათზე რეალურად გადანაწილება.

რეალურად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან რექტორისა და ვიცე-რექტორის ფუნქციები, რასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის დებულება.

დაინერგოს პრაქტიკა, როდესაც სტრატეგიული განვითარების გეგმა და მომავალი წლების ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდება სინქრონულად და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რათა არ მოხდეს სტრატეგიული მიზნების განხორციელების შეფერხება.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს შემუშავებულ-დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრნევლყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება, რომელიც ითვალისწინებს არამხოლოდ ხარისხის გარე არამედ შიდა შეფასებასაც. ამ მიზნით უნივერსიტეტში ხდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, რომლებიც 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე მიმდინარეობს ონლაინ, Google Drive-ს საფუძველზე, რაც უზრუველყოფს გამოკითხვების ანონიმურობას. გარდა ამისა, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა უსდ-ში „ხარისხის კულტურის“ ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რომლის საპასუხოდაც, უნივერსიტეტმა დანერგა პერსონალისა და სტუდენტების მუდმივი გამოკითხვების პრაქტიკა.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში გასაძლიერებელი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირება. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება ითვალისწინებს არამხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი მეთოდების ხარისხის შეფასებას, თუმცა აღნიშნული პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ დადასტურდა. წარმოდგენილ იქნა მხოლოდ რაოდენობრივი გამოკითხვების შედეგები, რომლებიც ძირითადად აღწერითი ხასიათისაა (შედგება მხოლოდ დიაგრამებისგან) და აკლია სიღრმისეული ანალიზი იმისთვის, რომ შესაძლებლობა მისცეს სამსახურს სწორად განსაზღვროს საჭიროებები, პრობლემები და იზრუნოს მათ გადაჭრაზე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე დამსაქმებლებისა და პერსონალისთვის, თუმცა როგორც აღინიშნა მონაცემთა ანალიზის ეტაპი საჭიროებს დახვეწას და სიღრმისეულ მიდგომას. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მისი დეპარტამენტი არ უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამის ხარისხის სიღრმისეულ შემოწმებას, ვინაიდან მას არ გააჩნია შესაბამისი სფეროს კომპეტენცია - არის სხვა პროფესიის წარმომადგენელი; შესაბამისად, აკადემიური კურსების ხარისხიანობას აღნიშნული სამსახური ამოწმებს მხოლოდ სტუდენტთა ამა თუ იმ კურსის შესახებ კმაყოფილებისა და მათ მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების საფუძველზე. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნევლყოფის სამსახური არამხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გამოკითხვებს აწარმოებდეს, არამედ ჩართული იყოს აკადემიური პროგრამის დახვეწის და გაუმჯობესების პროცესში.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მას მონაცემთა ანალიზში ეხმარება სოციოლოგთა გუნდი, რომელთა წარმომადგენლებიც არ არიან აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები, არამედ წარმოადგენენ სხვა დეპარტამენტის თანამშრომლებს, კონსულტანტებს ან აკადემიურ პერსონალს. თუმცა, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა აღნიშნულ ჯგუფთან შეხვედრა - ინტერვიუს ესწრებოდა ამ ჯგუფის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა რომ მონაწილეობა მიიღო კითხვარების შემუშავებასა და სტატისტიკურ ანალიზში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეხვდა ადამიანს, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა თვისებრივ ანალიზზე.

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შემუშავებულიყო სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლის საპასუხოდაც უსდ-ს მიერ განახლებულ იქნა სტუდენტთა კონტიგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია 2017 წლის 18 დეკემბერს; განახლებულია 2019 წლის 19 აპრილს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები; ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება; რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები (კითხვარები); მონაცემთა ანალიზის დამადასტურებელი ანგარიშები; სტუდენტთა კონტიგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოლოგია; ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით დაიხვეწოს შიდა მექანიზმები, კერძოდ, გამოყენებულ იქნას თვისებრივი მეთოდებიც, როგორც ამას ითვალისწინებს სამსახურის დებულება.

მოხდეს რაოდენობრივ მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უკეთ განსაზღვროს საჭიროებები;

უზრუნველყოფილ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური პროგრამის ხარისხის რეალური შეფასება.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. აგრეთვე, წარმოდგენილია ხელშეკრულება ააიპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმ 2017“-თან, რომლის საფუძველზეც მოხდება უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის პლაგიატზე შემოწმა. თუმცა, ვინაიდან, აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2019 წლის სექტემბერში, უსდ-ს მიერ არ მომხდარა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენება ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე.

ეთიკის კოდექსში მოხსენიებულია პლაგიატის თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმი - აკადემიური სწავლების სავალდებულო კურსი საბაკალავრო პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც ხდება სტუდენტებისთვის ციტირების წესების სწავლება. გარდა ამისა, ბაკალავრიატის დებულება შეიცავს ინფორმაციას საბაკალავრო ნაშრომში ლიტერატურის გამოყენების წესების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან

შეხვედრის საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტები არ იცნობენ საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებს და არ ფლობენ ინფორმაციას სწორი ციტირების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯრმე დასვა შეკითხვა, თუ რომელ ციტირების წესს იყენებს თავად პერსონალი საკუთარი კვლევის გამოქვეყნებისას, თუმცა აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო. პლაგიატის თაობაზე უნივერსიტეტი აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ერთ-ერთი ასეთი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია ღონისძიება 2019 წლის 6 დეკემბერს, რომელიც განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დასტურდება, რომ უსდ-ში არ ხდება პერსონალის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა. პერსონალი თავად ადგენს სასწავლო კურსის შინაარსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების განმსაზღვრელი დოკუმენტი; ხელშეკრულება ააიპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმ 2017“-თან; უსდ-ს ვებგვერდი, ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: აკადემიური პერსონალისთვის შემუშავდეს ციტირების ერთიანი წესი, ან დადგინდეს ციტირების რომელ საერთაშორისო ნორმას იყენებს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცოდნის ამაღლება არსებულ ციტირების სტანდარტებთან მიმართებაში.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უს ჯორჯია ახორციელებს ერთ ავტორიზებულ საბაკალავრო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება“. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პროგრამის მოდიფიცირება დაიწყო 2018 წლიდან, გაიმართა 5 შეხვედრა და 2019 წლის 25 აპრილს, პროგრამა დამტკიცდა სენატის მიერ. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული იყვნენ განმახორციელებელი პერსონალი. სტუდენტთა, კურდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა დასტურდება მათი მხრიდან, რაც პროგრამაში ინგლისური ენის საათების გაზრდით გამოიხატება. შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი ნათლად არ არის უნივერსიტეტის მხრიდან გაგებული, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი გაეცნენ წამყვანი უცხოური უნივერსიტეტების მისიებს და მათი

გაანალიზების საფუძველზე მოხდა გარგვეული ცვლილებები საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას. როგორც საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მაგალითი, აღნიშნულ ჭრილში განხილული საკითხი გასათვალისწინებელია. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პროგრამის შემუშავებამდე, არ გამოუკვლევიათ შრომის ბაზრის საჭიროებები ამ მიმართულებით. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით თუ ვიმსჯელებთ, 47 კურსდამთავრებულიდან, 2018 წლის მაჩვენებლის მიხედვით, 86% დასაქმებულია, თუმცა არ არის გაკეთებული ანალიზი იმის შესახებ, დასაქმების ასეთი მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება თუ არა უნივერსიტეტისგან მიღებულ კვალიფიკაციას. პროგრამის განახლების დროს, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რა სასწავლო პროგრამაში შესატანი აუცილებელი სიახლეები, სასწავლო პროგრამაში წარმოადგინა ისეთი საგნები, როგორიცაა 2 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, რომელთა სრულფასოვანი განხორციელება კითხვის ნიშნისქვეშაა, რამეთუ იკვეთება პროფესიონალი კადრების პრობლემა, ვინც აღნიშნულ კურსებს გაუძღვება. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროს, თუმცა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი საგნების შემოტანა პროგრამაში წარმოადგენდა წინა ავტორიზაციის მოთხოვნას და ამის გამო იქნა გათვალისწინებული. ასევე, ყურადღება მისაქცევია ის საკითხი, რომ პროგრამის მონიტორინგი (დარგობრივი თვალსაზრისით) არ ხდება უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

კვლავ რეკომენდაციად რჩება წიან ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია ახალი პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით. სტრატეგიული განვითარების ერთი მიზანია (ამოცანა 6.2) ახალი პროფესიული და აკადემიური საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება. წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ აღნიშნულის განხორციელება დაგეგმილია 2020-2024 წლებში. იგივე დადასტურდა ინტერვიუების დროს, კერძოდ იგეგმება საზოგადოებასთან ურთიერთობების, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება, ასევე სწავლის საფეხურის მომატება წარმოადგენს უნივერსიტეტის გეგმის შემადგენელ ნაწილს.

უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ ეს წესი დაცულია, ამასვე ადასტურებს წარმოდგენილი და ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტები (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები, სენატის სხდომების ოქმები).

დარღვეულია პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების საკითხი, რადგან პროგრამაზე დღესაც სწავლობენ 2004, 2006, 2007, 20011, 2012 წლებში ჩარიცხული სტუდენტები. გამოირკვა, რომ ეს სტუდენტები სხვა უნივერსიტეტებიდან არიან მობილობით გადასულნი ამ უნივერსიტეტში. სტუდენტებისთვის, ვინც მობილობის წესით ჩაირიცხა უნივერსიტეტში, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. წინა ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფორმალიზებასთან დაკავშირებით, შესრულებულია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები;

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წწ;

ფაკულტეტის და სენატის საბჭოს სხდომების ოქმები;

საგანამანათლებლო პროგრამა;

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

რეესტრი;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინასწარ ჩატარებული კვლევები შრომის ბაზრის მოთხოვნების გამოსავლენად პროგრამის განვითარების მიზნით;

კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარება კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლის მიღების მიზნით;

პროგრამის განახლება ხდებოდეს კვალიფიციური კადრების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსებით;

განხორციელდეს პროგრამის მონიტორინგი დარგობრივ ჭრილში;

თავისი მისიის შესასრულებლად და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის შესაძლებლობით უზრუნველსაყოფად, სასწავლებელმა უნდა მისცეს პრიორიტეტი ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რითაც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში;

სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულება ხდებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილ ვადებში.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ 240 კრედიტიანია. კრედიტების განაწილების 5 კრედიტიანი სქემა უნიფიცირებულია. საგნისთვის კრედიტის განსაზღვრა არ ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანთა მრავალფეროვანი სპექტრიდან გამომდინარე კრედიტების ასეთი პრინციპით განაწილება ეჭვქვეშ აყენებს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას განსაზღვრულ დროში. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სისტემა მისაღებია, როგორც კურსების წამყვანი პროფესორების მიერ, ასევე სტუდენტებისათვის, თუმცა დაფიქსირდა, რომ სამომავლოდ ბალტიისპირეთის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მიზნით, გათვალისწინებულ იქნა მათი კრედიტების განაწილების სისტემება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მობილობის შემთხვევაში საგნების აღიარების პროცესს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ყველა იმ აუცილებელ კომპონენტს, რომელიც საჭიროა ბიზნეს ადმინისტრირებაში ბაზისური ცოდნის მისაღებად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ნაწილობრივ ძველმოდურია და ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამაში არ არის გაკეთებული აქცენტი მეწარმეობაზე, ინოვაციებზე, სტარტაპებზე. ბიზნეს ადმინისტრირების თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა გაჯერებული უნდა იყოს ამ კურსებით,

განსაკთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც უნივერსიტეტი მისიაში აღნიშნავს, რომ ახალი ბიზნესის შემქნელებს უნდა მისცეს შესაბამისი განათლება. აგრეთვე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პროგრამაში მოცემული კურსების შინაარსი ხშირად ფარავს ერთმანეთს და სრულიად ბუნდოვანია, როგორ ხდება პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის ინტეგრირება, რადგან აღნიშნული ინფორმაცია ვერ მივიღეთ ინტერვიუების პროცესში.

პროგრამა შეიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს. სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება წარმოდგენილია პროგრამაში, თუმცა იგივე არ დასტურდება ექსპერტთა ვიზიტის დროს გაკეთებული დასკვნებით. საგნები, რომელთა სრულფასოვანი შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების და სტუდენტთა უშუალო პრაქტიკული აქტივობის გარეშე შეუძლებელია, ხორციელდება არასათანადოდ, კერძოდ, ეს ეხება „ბუღალტრულ აღრიცხვას“, სადაც სტუდენტები პრაქტიკული მეცადინეობისას არ იყენებენ კომპიუტერულ პროგრამებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ არცერთი დარგობრივი კომპიუტერული პროგრამა (გარდა საოფისე პროგრამებისა) არ იყო ჩაწერილი კომპიუტერულ კლასში არსებულ კომოიუტერებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არ ხდება მათი გამოყენება სასწავლო პროცესში, სტუდენტების მიერ.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კატალოგი განთავსებულია უს „ჯორჯია-ს“ ვებ გვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის, რომელიც დასტურდება სტუდენტებთან ინტერვიუების დროსაც. სტუდენტები იცნობენ შეფასების სისტემას და პროცედურებს, არასასურველი შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში. უს-ს არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები, თუმცა არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია ადაპტირებულ გარემოში (შენობის პირველ სართულზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

ვებ გვერდი: http://usgeorgia.edu.ge/

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

სასწავლო გარემო;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სწავლება მიმდინარეობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტთა უშუალო ჩართულობის გზით;
- რეკომენდირებულია გადაიხედოს და გაანხლდეს პროგრამა. პროგრამის მიზნები და შედეგები პრაქტიკურლი უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულების გამოშვებას ემსახურებოდეს.
- რეკომენდირებულია პროგრამაში რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული კურსი შემოვიდეს, რომელსაც უხელმძღვანელებენ პრატიკოსი სპეციალისტები;
- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა ფოკუსირება გააკეთოს რომელიმე ერთ მიმართულებაზე (ფინანსები, მარკეტინგი, აუდიტი, მენეჯმენტი და ა.შ.) და პროგრამა გააძლიეროს ამ მიმართულებით;
- რეკომენდირებულია დუბლირებული კურსების ჩანაცვლება.

რჩევები:

საგნებისთვის კრედიტის განსაზღვრა მოხდეს მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა აჩვენებს სწავლის შედეგების დამოკიდებულებას დარგობრივ კომპეტენციებთან. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა წარმოდგენილია პროგრამაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასებაში შემავალი კომპონენტების შინაარსს, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები, სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები.

კვლავ ძალაში რჩება წინა ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას.

ვიზიტის პროცესში გამოვითხოვეთ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 14 საგნის სილაბუსი და დეტალურად განვიხილეთ შეფასების ფორმები და კომპონენტები და მიუხედავად კურსის სპეციფიკისა ყველა სილაბუსში ერთიდაიგივე პრინციპი მოქმედებს (შუალედური შეფასება ორი კომპონენტისგან შედგება: პრატიკული მეცადინეობა (40 ქულა), შუალედური გამოცდა (20 ქულა) და დასკვნითი შეფასება დასკვნითი გამოცდის სახით (40 ქულა). ასეთი უნიფიცირებული შეფასების მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს საგნის სპეციფიკის და პროფესორის ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვების და შეფასებების უწყისებზე დაყრდნობით ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგს, თუმცა არსებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული აქტივობები არც ინტერვიუების დროს იკვეთება და არც დოკუმენტურად ანალიზის სახით.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ არასდროს გამოყენებიათ შეფასების გასაჩივრების სისტემა, რომელიც დოკუმენტურად არსებობს უნივერსიტეტში, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რასაც სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ შეფასებები არის/იყო ყოველთვის ადეკვატური და ამიტომ არასდროს გაუსაჩივრებიათ. აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ნაკლებია სტუდენტთა ინფორმირებულობა მათ მიერ მიღებული შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ. აღნიშნული მჭიდრო კავშირშია ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებთან.

სტუდენტები შეფასებების შესახებ ინფორმირებული არიან ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ზოგადი ფუნქციონირება გადამოწმდა სტუდენტებთან შეხვედრისას. დასტურდება რომ სისტემა არის მუშა მდგომარეობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“; სასწავლო კურსების სილაბუსები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული გამოკითხვები; სტუდენტთა ელექტრონული სისტემა; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას. სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით; გადაიხედოს უნიფიცირებული შეფასების ფორმები და კომპონენტები და შემუშავდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კურსზე მორგებული სისტემა, სადაც ნათლად იქნება ასახული კურსის მიზნებიდან გამომდიანრე მოსალოდნელი შედეგების რელევანტური შეფასების მიდგომა.
რჩევები: მოხდეს სტუდენტების უფრო მეტი ინფორმირებულობა შეფასების სისტემასთან მიმართებით.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის კონტრაქტების გადახალისებას, სადაც ასახული იქნებოდა ფინანსური ურთიერთობები პერსონალსა და დაწესებულებას შორის. აღნიშნულ რეკომენდაციაზე დაყრდნობით განახლდა ხელშეკრულებები აკადემიურ პერსონალთან, რომელშიც ნათქვამია, რომ აკადემიური პერსონალის ანაზღაურების საფუძველია რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური დატვირთვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება მიბმულია მათ საათობრივ დატვირთვას და სასწავლო პროცესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-სგან გამოთხოვნილ ხელმოწერილი კონტრაქტების ასლებში დაფარული იყო პერსონალის ანაზღაურების კომპონენტი, შესაბამისად ზუსტი ოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა.

მოწვეული პერსონალის კონტრაქტები არის ერთწლიანი; ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ იგეგმება სამწლიანი ხელშეკრულებების გაფორმებაც. აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება შემდეგი სქემის მიხედვით: აფილირებული პროფესორი - უვადო; პროფესორი - 6 წელი, ასოცირებული პროფესორი - 6 წელი; ასისტენტი - 4 წელი. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ვერ განასხვავებს მოწვეული და ასოცირებული პროფესორების უფლება-მოვალეობებს ერთმანეთისაგან.

ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა, რომ პერსონალისთვის მოქმედებს ბონუსებისა და წახალისების სისტემა, რაც გამოიხატება მათთვის შეთავაზებულ ტრენინგებსა, გამოქვეყნების შესაძლებლობებში უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირირებულ ჟურნალში „ივერონი," და სამეცნიერო მივლინებების ფინანსურ მხარდაჭერაში. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა უსდ-ს მიერ პერსონალისთვის ინგლისური ენის კურსების არსებობას, რაც 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული იყო, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც უნივერსიტეტს უნდა დაენერგა. ინტერვიუების დროს ასევე აღიშნა ბონუსების არსებობა, თუმცა დაწესებულების ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით, ამ კომპონენტის დანერგვა ეჭვქვეშაა (იხ. ქვესტანდარტი 7.4). ასევე, აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი ბიუჯეტის გამოყოფის საკითხი, რომელიც გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა ფინანსურად აღნიშნულის განხორციელება რთული იქნება დაწესებულებისთვის. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ გეგმაში, ასევე ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ დაგეგმილია კვლევითი ბიუჯეტი 5%-მდე გაზრდა, 2019 წლის მონაცემებით აღნიშნული ბიუჯეტი შემცირდა და შეადგენს 0,5%; შესაბამისად, ბიუჯეტის გაზრდის პერსპექტივა ბუნდოვანია (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტი 7.4), თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს ერთი კვლევითი პროექტი.

უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში პერსონალის წახალისება ერთ-ერთ მიზნად არის წარმოჩენილი, რამაც უნდა უზრუნველყოს საუკეთესო კადრების მოზიდვა უნივერსიტეტში (სტრატეგიული მიზანი 2), თუმცა მონიტორინგის ჯგუფმა ვერ დაადასტურა აღნიშნული მიზნისთვის საჭირო მექანიზმების არსებობა უნივერსიტეტში. ასევე სტრატეგიული მიზნების შესაბამისად გაწერილ სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმების ოპტიმიზაცია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ დადგინდა კონკრეტულად რა ნაბიჯებია გადადგმული უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გამოვლინდა, რომ აკადემიური პროგრამის კურიკულუმში შეტანილია ორი ინგლისურენოვანი კურსი („ბრენდინგი" [Branding] და „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები" [Essentials of Organizational Behaviour]), რომელსაც კითხულობს ინგლისური ენის სპეციალისტი, ბრენდინგის შესახებ სახელმძღვანელოს მთარგმნელი, ამჟამად ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი [2018 წლის ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში აღნიშნული პირი მუშაობდა ბიბლიოთეკარის პოზიციაზე]. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, თუ რამდენად საკმარისია ამ პირის კვალიფიკაცია აღნიშნული კურსების სწავლებისთვის მისი განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მივიღეთ პასუხი, რომ ქართულენოვანი პროგრამისთვის სრულიად საკმარისია, თუმცა თუ მომავალში დაინერგება ინგლისურენოვანი პროგრამა, საჭირო გახდება სხვა, უფრო მაღალი კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვა. აღნიშნული ცხადად მიუთითებს დაწესებულების არასწორ მიდგომაზე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ. მიგვაჩნია, რომ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სპეციალისტების მოზიდვა კონკრეტული კურსების წასაკითხად იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ხარისხის სწავლება.

2018 წლის ექსპერტთა დასკვნაში ასევე ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ აკადემიური პერსონალი არ იცნობს ციტირების სტანდარტებს. აღნიშნული დადასტურდა 2019 წლის მონიტორინგის ჯგუფის მიერაც (იხ. ქვესტანდარტი 2.3)

აქვე უნდა აღინიშნოს ინტერვიუების დროს გამოვლინილი გარემოება, კერძოდ კი კადრების მიერ არასრულფასოვნად ფუნქციების შესრულება, რაც დეტალურად აღნიშნულია ქვესტანდარტში 2.2.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები; სტუდენტთა კონტიგენტისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია; პერსონალის კონტრაქტები; სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერვიუები უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი.

უზრუნველყოფილ იქნას რომ სასწავლო კურსები წაიკითხოს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალმა;

დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდეს პერსონალის წახალისების, კვლევის დაფინანსებისა და სხვა ბონუსური სისტემის რეალური გეგმის შედგენა.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც ერთ აკადემიური პერსონალზე არ შეიძლება მოდიოდიეს 70 სტუდენტზე მეტი, ხოლო ერთ მოწვეულ პერსონალზე - 75 სტუდენტზე მეტი. აგრეთვე ერთ საბაკალავრო პროგრამაზე მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 15 ადამიანით, თუმცა ამ ეტაპზე უნივერსიტეტში დასაქმებულია 6 მოწვეული პერსონალი. ამ ეტაპზე უსდ-ში სტუდენტთა და პროფესორთა თანაფარდობა არის შემდეგი:
აკადემიური პერსონალი - 1/6
მოწვეული პერსონალი - 1/20
აფილირებული პერსონალი - 1/13

ამ ეტაპზე, სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სტუდენტური კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში (რაც დაწესებულების ფინანსური მდგრადობის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს და ავტორიზაციის მონიტორინგის მიზეზიცაა) აღნიშნული განაწილება შესაძლოა

არაეფექტური აღმოჩნდეს და საჭირო გახდეს დამატებითი პერსონალის მოზიდვა, რისთვისაც საჭირო იქნება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ეფექტური სტრატეგიის შემუშავება. უსდ-ს პერსონალის უმეტესობა რამდენიმე უნივერსიტეტშია დასაქმებული, თუმცა აფილირებული პერსონალი მხოლოდ უს ჯორჯიასთან არის აფილირებული. აქვე, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ინტერვიუს დროს გაჟღერებული ინფორმაცია, რომ მხოლოდ ერთ პროფესორს აქვს დადებული უვადო ხელშეკრულება, არ დაემთხვა ვიზიტის დროს აღმოჩენილ ინფორმაციას - კერძოდ, წარმოდგენილი უვადო ხელშეკრულებება, ეკუთვნოდა სხვა პროფესორს. ინტერვიუების დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის თვალსაზრისით, მათ ევალებათ წელიწადში ორჯერ განახლებული CV მიაწოდონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას; თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვერ დადგინდა რის საფუძველზე ხდება მათი აკადემიური საქმიანობის (როგორც სწავლების ასევე კვლევის) შეფასება. კერძოდ, პერსონალის შეფასება ხორციელდება მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვების საფუძვლეზე, ხოლო მათი სამეცნიერო აქტივობის შესაფასებლად არ არის შემუშავებული კონკრეტული ინდიკატორები და მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები; სტუდენტთა კონტიგენტისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია; პერსონალის კონტრაქტები; სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერვიუები უინვერსიტეტის მენეჯმენტთან, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების ქმედითი მექანიზმები; მოხდეს პერსონალის დაგეგმვის ადექვატური მექანიზმის შემუშავება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მომავალში, სტუდენტური კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, პროფესიონალი კადრების მოზიდვა.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია ვებ-გვერდზე ინგლისურ ენოვანი დოკუმენტაციის განთავსების შესახებ. ასე რომ არსებობს სასწავლებლის როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ვერსია სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და ჩამორთმევის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების თაობაზე. დოკუმენტები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე „http://usgeorgia.edu.ge/". თუმცა არსებობს მცირე ტექნიკური ხარვეზი: გრაფაში „სტუდენტებისთვის" „მობილობის" პუნქტის გახსნა ვერ ხერხდება საიტის ვერც ინგლისურ და ვერც ქართულენოვან ვერსიებში.

უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები;

გასაუბრება დამფუძნებლებთან, რექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია

უნივერსიტეტის ვებგვერდი „http://usgeorgia.edu.ge/"

რეკომენდაციები:

რჩევები:

გამოსწორდეს ვებგვერდის „მობილობის" პუნქტთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული გარემოა. უნივერსიტეტის და სტუდენტების კონტიგენტის სიმცირის გამო, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებები ძირითადად დამოკიდებულია სტუდენტების პირადი ურთიერთობებით ლექტორებთან, ადმინისტრაციასთან, დეკანთან და ა.შ. სტუდენტებისთვის არ წარმოადგენს პრობლემას პროგრამის ხელმძღვანელის, დეკანის ან თუნდაც რექტორის ნახვა და კონსულტაციის მიღება.

სტუდენტური თვითმმართველობა პასუხისმგებელია სტუდენტთა დახმარების მომსახურებებსა და სტუდენტების საჭიროებების შესახებ ადმინისტრაციის საქმის კურსში ჩაყენება. თუმცა სტუდენტურ თვითმმართველობასთან გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს არ ჰქონდათ კარგად გააზრებული თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული დახმარების ცენტრი. რომელიც სტუდენტებს უწევს საკონსულტაციო დახმარებას დასაქმების საკითხებში, აცნობს მათ სხვადასხვა კომპანიების ვაკანსიებს და საჭიროების შემთხვევაში პირადად აკავშირებს ორ მხარეს.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მმართველი ორგანოა სენატი. რომელსაც ადმინისტრაციასთან ერთად წარმოადგენს არის 2 სტუდენტიც. მათგან ერთს ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობა (საკუთარი რიგებიდან), ხოლო მეორეს თავად უნივერსიტეტი.

სტუდენტების ძირითადი ინფორმაციული გზამკვლევია უნივერსიტეტის ონლაინ ვებ-გვერდი, რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე, კვირის ცხრილებზე, პროგრამის აღწერაზე, სილაბუსებზე და ა.შ. საგნების არჩევა ასევე ხდება ონლაინ ვებ-გვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

გასაუბრება დამფუძნებლებთან, რექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაცია
უნივერსიტეტის ვებ გვერდი „http://usgeorgia.edu.ge/”

რეკომენდაციები:

რჩევები:

ჩაუტარდეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს კონსულტაცია/ტრენინგი, რათა უკეთ გაიგონ თავიანთი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ამით ისინი მეტად ჩაერთვებიან უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: „ჯორჯია“ უმაღლესი სასწავლებელია და მისი ამ სახიდან გამომდინარე ცდილობს განახორციელოს კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს კვლევის მიმართულების განვითარება 2018-2024 წლების პერსპექტივაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ძალაში რჩება წინა ავტორიზაციის რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ უნდა შემუშავდეს სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა, აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტის მხიდან გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები ამ მიზნისაკენ. პროგრამული განვითარებისა და კვლევის ოფისი წარმოადგენს ამის ნათელ მაგალითს. მის შემადგენლობაში შედის ბიზნეს ინკუბატორი და ლიდერთა სკოლა. შემუშავებულია თითოეულის დებულება. ლიდერთა სკოლის საქმიანობა დღეის მდგომარეობით სარეკლამო ხასიათის აქტივობებით შემოიფარგლება, თუმცა სამომავლოთ დაგეგმილია სამეცენიერო-კვლევითი აქტივობებიც. ხოლო ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც თეორიულად მიმართულია იდეების გენერირებასა და კვლევით აქტივობებზე, დღეის მდგომარეობით, სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს. უფრო მეტიც, ბიზნეს ინკუბატორი, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით ხორციელდება სტუდენტთა/დაინტერესებულ მხარეთა აქტიური შეკრებები და დისკუსიები, და დეკანის სამუშაო ოთახი ერთი და იგივე სივრცეს წარმოადგენს. უნივერსიტეტმა შეიმუშავა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცების და მასში მონაწილეობის წესი. შიდა გრანტის ფარგლებში, დაფინანსდა ერთობლივი პროექტი ტურიზმის მიმართულებით საერთაშორისო ტურისტული ნაკადის კვლევის ჩატარება. გამოკითხვებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და ის ჩატარდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო დასრულებული გამოკითხვების ანალიზი. კვლევაში მონაწილეობს სომხეთის საერთაშორისო საბუღალტრო ტრენინგ ცენტრი. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებს, მათ შორის საერთაშორისოსაც, სადაც მონაწილეობას ადასტურებენ როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები. ასევე, უნივერსიტეტი გამოსცემს ჟურნალს „ივერონი“, რომლის გამოცემები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ასევე, უნივერსიტეტის პროფესორთა მიერ გამოცემულია დარგობრივი სახელმძღვანელოები. რამდენიმე პროფესორის მხრიდან აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით/თანადაფინანსებით მათ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში უცხოეთში. ექსპერტთა ვიზიტისას გადამოწმდა საბაკალავრო ნაშრომები, მათგან ერთი იყო ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული კომენტარებით წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სტრატეგიული განვითარების გეგმა; 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები ბიზნეს ინკუბატორის და ლიდერთა სკოლის დებულებები;

მემორანდუმი სომხეთის საერთაშორისო საბუღალტრო ტრენინგ ცენტრთან; ვებ გვერდი: http://usgeorgia.edu.ge/research/journal-iveroni/ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: მკაფიო და შეფასებადი სამიზნე ნიშნულებით შემუშავდეს სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა. პროგრამული განვითარებისა და კვლევის ოფისის საქმიანობა განხორციელდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სივცრეში და ორიენტირებული იყოს კვლევითი აქტივობების განსახორციელებაზე.
რჩევები: საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენის წესები იქნას დაცული.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კვლავ ძალაში რჩება წინა ავტორიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია პერსონალის კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციისათვის ადეკვატური ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე. უნივერსიტეტის დაფინანსებით და ხელშეწყობით ხორციელდება გრანტი ტურიზმის მიმართულებით. ასევე გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ შემდგომშიც დაფინანსდება კვლევები და გამოყენებითი პროექტები. საკუთარ გამოცემებში უნივერსიტეტი უფასოდ აქვეყნებს მისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების სტატიებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი კვლევებისათვის დაფინანსების წყაროების არასწორ გზას მიმართავს, როდესაც კვლევების განხორციელებისათვის სხვა უნივერსიტეტებიდან დაფინანსების მოპოვებას ისახავს მიზნად. უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა კვლევების განვითარებისათვის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების დინამიკის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტები. უს ჯორჯია არ ახორციელებს ერთობლივ კვლევებს უცხოელ პარტნიორებთან, არ არის ჩართული ერთობლივ კვლევით საქმიანობაში. ინტერვიუს დროს რამდენჯერმე აღინიშნა, რომ სამომვალოდ იგეგმება ასეთი კავშირების დამყარება პოლონეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის. არც ახალი, ადგილობრივი კადრების მოზიდვა შეიმჩნევა უნივერსიტეტში კონკრეტულად, კვლევების განხორციელების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018, 2019 წლების ბიუჯეტი;

მემორანდუმი სომხეთის საერთაშორისო საბუღალტრო ტრენინგ ცენტრთან;

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი კონკურსის მასალები;

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის კვლევითი აქტივობებისათვის და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისთვის გამოყოფილი იქნას ადეკვატური ფიანასური დახმარება.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა ავტორიზაციის რეკომენდაციებიდან შესრულებულია ნაწილი რეკომენდაციისა, რაც ეხებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმაში კვლევითი საქმიანობისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას. 2018-2024 წლების სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ ამოცანას სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენს. რაც შეეხება ინდიკატორებს, პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულების შესახებ, კვლავ რეკომენდაციად რჩება.

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს CV-ს, რომელთა აკუმულირება ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. შეფასების შედეგების ანალიზი არ არის წარმოდგენილი და არც მათი გამოყენება ჩანს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა უნივერსიტეტს არ გააჩნია და შესაბამისად არ კეთდება შედეგების ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები

სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

პერსონალის პირადი საქმეები; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: სტრატეგიული განვითარების და ოთხ წლიანი სამოქმედო გეგმა იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს ამ სფეროში დაწესებულებისა თუ ცალკეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად; უზრუნველყოფილ იქნეს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად დაწესებულების ახალი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უს ჯორჯია განლაგებულია ოთხსართულიანი შენობის ორ სართულზე, ფართი 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით გადმოცემულია სარგებლობის უფლებით. ორივე სართულზე გამოყოფილი სივრცეები არის: ფოიე, 18 საკლასო აუდიტორია (ამჟამად დატვირთულია მხოლოდ სამი საკლასო აუდიტორია და ეს სამი აუდიტორია აღჭურვილია დაფით, პროექტორით) საკლასო ოთახებში არ არის კონდიციონერები დამონტაჟებული, ერთი ბიბლიოთეკა, ერთი სრულადაღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, ერთი კომპიუტერული ლაბორიატორია (განლაგებულია 14 პერსონალური კომპიუტერი, არ არის დაფა, მონიტორი, აღჭურვილია სათვალთავლო კამერებით. კომპიუტერის მონაცემების Intel ® Pentium ® Dual CPU E210@2.ooGHz, მეხსიერება 2GB,) ერთი ბიზნეს ლაბორატორია (აღნიშნული სივრცის დანიშნულებაზე ინტერვიუების დროს მოვისმინეთ სხვადასხვა ვერსია, ზოგიერთი რესპონდენტი ამბობდა, რომ ეს არის აკადემიური თანამშრომლებისთვის გამოყოფილი სივრცე, ზოგიერთის თქმით, ამ სივრცეში ხდება სტუდენტების მობილიზება, რეალურად ეს სივრცე არის დეკანის კაბინეტი და აქვე აქვს ადგილი

პროგრამების ხელმძღვანელს) უს ჯორჯიას აქვს სამედიცინო პუნქტი, სადაც არის პირველადი დახმარებისთვის საჭირო აღჭურვილობა, ვარგისი მედიკამენტები, თუმცა ვიზიტის არცერთ დღეს ექიმი არ იმყოფებოდა ადგილზე. საპირფარეშოები მოწყობილია ნორმების მიხედვით, პირველი სართულის სველ წერტილებში არის ადაპტირებული კაბინები; უს ჯორჯიას აქვს საპროფესორო, რომელიც მოწყობილია საკამოდ კომფორტულად, საპროფესორო სივრცეში არის სალოცავი კუთხე, რაც ეწინააღმდეგება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"საქართველოს კანონს.

სასწავლო დაწესებულებაში ორივე სართულზე განლაგებულია ვარგისი ცეცხლმაქრები და საევაკუაციო სქემები, სათადარიგო კარი არის ხის და იღება შიგნიდან გარეთ. უნივერსიტეტის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა ეტლით მოსარგებლე მეორე სართულზე ვერ შეძლებს ასვლას. წინა ავტორიზაციის შედეგად გაცემული რეკომენდაცი N27 არ არის შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიდის საპროექტო სამუშაოები ლიფტის დამონტაჟებისთვის, ვიზიტის დროს ეს ფაქტი არ დადასტრუდა.

უს ჯორჯიას ემსახურება და უსაფრთხოებაზე ზრუნავს შპს „ორბი - უძრავი და მოძრავი ქონების დაცვა", რომელიც დასტურდება 2018 წლის 17 მაისის შეთანხმებით. უნივერისტეტის ფოიეში და კომპიუტერულ დარბაზში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რომელიც სამი დღის განმავლობაში ინახავს ჩანაწერს.

უს ჯორჯიასთან მისასვლელი გზა რჩება პრობლემურად, არ არის ასფალტირებული. უნივერსიტეტს არ გააჩნია ეზო და კეთილმოწყყობილი პარკინგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ინტერივუები ვიზიტის დროს;

კამპუსის დათავლიერება;

ხელშერკულებები მატერიალური აქტივების და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია საკალასო აუდიტორიებში გაგრილების სისტემის მონტაჟი;

რეკომენდირებულია ეტლით მოსარგებლეებს ჰქონდეთ მეორე სართულზე ასვლის საშუალება, ეს შეიძლება გადაწყვდეს, როგორც ლიფტის მონტაჟით, ასევე სპეციალური მექანიკური დანადგარის მონტაჟის საშუალებით;

რეკომენდირებულია განახლდეს ტექნიკურ-მატრიალური ბაზა, განსაკუთრებით თუ სტუდენტების მიღების შესაძლებლობა ექნება უნივერსიტეტს (პროექტორები, კომპიუტერები).

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის პირველ სართულზე მოწყობილია ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მცირეა, თუმცა უნივერსიტეტისთვის საკმარისი. იგი მოიცავს წიგნსაცავს (სადაც 3000 მდე წიგნია), სამკითხველო დარბაზს და სივრცეს გჯუფური სამუშაოსთვის. ბიბლიოთეკის წიგნსაცავში არსებული წიგნების უმეტესობა არის ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით. სამკითხველო დარბაზში არის რამდენიმე კომფორტული სავარძელი, მაგიდა და ასევე კომპიუტერები, რომელთა საშუალებით სტუდენტს აქვს წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკებზე. ჯგუფური სამუშაოსთვის განკუთვნილი ოთახი აღჭურვილია ლეპტოპითა და პლაზმური ტელევიზორით, რათა სტუდენტებმა ერთმანეთისთვის თავიანთი იდეების გაცნობა პრეზენტაციების სახით შეძლონ.

ბიბლიოთეკის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ უფასოდ ამობეჭდონ თავიანთთვის სასურველი მასალა ან გადაიღონ ასლები.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 9:00 დან 19:00 მდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ბიბლიოთეკის დათვალიერება.

გასაუბრება ბიბლიოთეკის პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის შენობაში ერთ-ერთი ოთახი განკუთვნილია სტუდენტების თავისუფალი გამოყენებისთვის და აღჭურვილია 20 მდე კომპიუტერით, ინტერნეტით და ასევე პროექტორით.

უნივერსიტეტს ჰყავს IT გჯუფი რომელიც უზრუნველჰყოფს IT აღჭურვილობას მენეჯმენტისა და სწავლება/სწავლის აქტივობებისათვის. მთლიანი IT სტრუქტურა მხარდაჭერილია გარე სერვერით.

სასწავლებლის Microsoft-ის პროგრამები არალიცენზირებული მეკობრული ვერსიებია, რომლებიც საჭიროებს განახლებას.

განახლება ესაჭიროება ასევე ვებ-გვერდს. უს ჯორჯიას ვებ-გვერდზე შეუძლებელია „მობილობის“ პუნქტის გახსნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ობიექტის დათვალიერება; ინტერვიუები IT მენეჯერთან და მომხმარებლებთან; უს ჯორჯიას ვებგვერდზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

განახლდეს უნივერსიტეტის Microsoft-ის პროგრამები და შეძენილ იქნას მათი ლიცენზირებული ვერსიები.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უს ჯორჯიას 2018 წელს ფაქტობრივი შემოსავლები შეადგენდა 164 053 ლარს. ხოლო 2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შემოსავალი ფიქსირდება 131 979 ლარი, რაც პროგნოზირებულ ფინანსურ შემოსავლებს საგრძნობლად ჩამოუვარდება. 2019 წლის პროგნოზირებული შემოსავლები განსაზღვრული იყო 490 750 ლარით, რაც დაახლოებით 3,5-ჯერ მეტია რეალურ შემოსავლებთან მიმართებაში. უნივერსიტეტში არ ხდება ფინანური მოლოდინების და შესაბამისად პერფორმანსის სწორი და ადექვატური გათვლა და ბიუჯეტის დაგეგმვის დროს შეინიშნება გადაჭარბებული მოლოდინები. ამ პერიოდის განმავლობაში არ მომხადარა წინა ავტორიზაციის პროცესში N29 რეკომენდაციის გათვალისწინება. არ

მომხდარა არც შემოსავლების დივერსიფიკაცია და არც შემოსავლების ზრდა. ეს ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევას. ვიზიტის დროს მივიღეთ აბსოლუტურად გაუგებარი პასუხები სასწავლო დაწესებულების ფინანსურ მდგარდობასთან დაკავშირებით. ინტერვიუების დროს დაფიქსირდა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტი ეძებს ფინანსურ პარტნიორს - ინვესტორს. თუმცა, სიღრმეებში ჩასვლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ინვესტორში გულისხმობდნენ უცხოურ უნივერსიტეტბთან მოლაპრაკებებს კვლევის დაფინანსების კუთხით. აღნიშნული ინფორმაცია არის ბუნდოვანი და მიუთითებს იმას, რომ დაწესებულებაში ფინანსური მდგრადობის კომპონენტი არათუ გადაწყვეტილი არ არის, არამედ ამ ამოცანის მათეული გადაჭრის მიდგომა საერთოდ არ შეესაბამება დაფინანსების გაზრდის პრინციპს. არეულია კერძო და სასესხო კაპიტალის და სამუშაო კაპიტალის ზრდის პრინციპები. სტრატეგიულ გეგმაში პროგნოზირებულია მომდევნო წლებში შემოსავლების 2-4-ჯერ გაზრდა და ამ დაშვების პირობად ინტერვიუების დროს გაგვიმარტეს, რომ ეს მოხდება საფასურის გაზრდის და სტუდენტების მიღების გაზრდის ხარჯზე. შემოსავლების ზრდის აღნიშნული პირობით პროგნოზირება არის ძალიან ოპტიმისტური, ვინაიდან უნვიერსიტეტს არ გააჩნია საკამრისი არც მატერიალური და არც ადამიანური რესურსი, მოიზიდოს და მოემსახუროს სტუდენტების ამ რაოდენობას.

უს ჯორჯიას ორგანიზაციულ სტრუქტურაში ფინანსური სამსახური გამოყოფილია ცალკე ერთეულად, რომლსაც ხელმძღვანელობს ერთ-ერთი დამფუძნებელი. მას ჰყავს ერთი მრჩეველი, რომელიც რეალურად აკეთებს ბიუჯეტირებას და შემდეგ შესრულების პროცესშიც არის ჩართული. ასევე ფინანსურ საქმიანობაში ჩართულია ბუღალტერი, თუმცა ამ ადამიანებს შორის არ არის უფლება-მოვალეობები და საქმიანობა გამიჯნული. ინტერვიუების დროს არ გამოვლინდა ფინანსური სამსახურის ფუნქციონირების, ფინანსების მართვის და კონტროლის სისტემური მიდგომების არსებობა.

უს ჯორჯია 2018 წელს კონფერენციების და კვლევის მუხლში ფაქტობრივი ხარჯი ჰქონდა 7386 ლარი, რაც შემსოავლების 4,5% წარმოადგენს, ხოლო იგივე მუხლში 2019 წელს ფაქტიურად გაწეული ხარჯი არის 670 ლარია, რაც ნიშნავს რომ დაახლოებით 10-ჯერ შემცირდა ამ მიმართულებით დაფინანსება. აღნიშნული ეწინააღმდეგება სტრატეგიულ გეგმაში დასახულ მიზნებს და ნიშნავს, იმას რომ უნივერსიტეტი არ არის ფოკუსირებული კვლევის მიმართულების გაუმჯობესებისკენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტს აქვს განხორციელებული ერთი კვლევითი პროექტი.

აღსანიშანვია, რომ უს ჯორჯიას ფინანსური სამსახური არ იღებს მონაწილეობას უნივერისტეტის სტარეგიული დაგეგმვის პროცესში (იხ. ქვესტანდარტი 2.1).

აღსანიშანივია, რომ ამ პერიოდს განმავლობაში შეიქმნა რექოტრის ფონდი, თუმცა სრულიად გაუგებარია, სადიან ხდება თანხების მოზიდვა ამ ფონდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

სტრატგიული განვითარების გეგმა

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებზე გაცემული პასუხები

უს ჯორჯიას მიერ მოწოდებული 2018-2019 წლის ფაქტობრივი ბიუჯეტები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ გაიაზროს და ქმედითი ღონისძიებები ჩაატაროს ფინანსური მდგრადობის მისაღწევად;

რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ მოახდინოს შემოსავლების დივერსიფიცირება არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით;

რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ დანერგოს ფინანსური მართვის, შეფასების და კონტროლის ეფექტური, თანამედროვე მექანიზმები და ფინანსური პოლიტიკა ორგანულად იყოს ინტეგრირებული უნივერსიტეტის სხვა ფუნქციონალურ ერთეულებთან. რეკომენდაირებულია უნივერსიტეტმა გამოიყენოს ფინანსური მოდელირების ის ინსტურმენტები, რომელიც მაქსიამლურად მიაახლოვებს საპროგნოზო მაჩვენებელს და რეალურ შედეგებს და ამით თავიდან აიცილოს ფინანსური კრიზისის დადგომა.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	ავტორიზებული	გადაწყვეტილება #89, 21/11/2018
2						
3						
4						
5						